Bitdefender GravityZone Business Security 1 Year License

სატენდერო დოკუმენტაცია

სს “თიბისი ბანკი” შემდგომში “მყიდველი” გიწვევთ ღია ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობისათვის და გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი წინადადებები შესყიდვების ელექტრონული სისტემის – tenders.ge საშუალებით.

I. ტენდერში მონაწილეობის წესები

წინადადებების ატვირთვა შესაძლებელია 06.10.2025წ. 12:00 საათიდან 18:00 საათამდე.

ტექნიკური ხასიათის კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით:
ალექსანდრე კვაიჭაძე 595 323 113 AKvaichadze@Tbcbank.ge

სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება/წარდგენასთან დაკავშირებით:
ვახტანგ ქიტუაშვილი 599 88 45 30 Vkituashvili@Tbcbank.com.ge

ტენდერის შემდგომ დაზუსტების მიზნით მოწოდებული ყველა ტიპის ინფორმაცია (მათ შორის ელექტრონული სახით) ითვლება წინადადების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილად.

თანაბარმნიშვნელოვანი წინადადებების შემთხვევაში ბანკი უფლებას იტოვებს გადაწყვეტილება მიიღოს საავანსო მოთხოვნის გათვალისწინებით.

გამარჯვებული ვალდებულია თანამშრომლობისათვის წარადგინოს თიბისი ბანკის საბანკო რეკვიზიტები.

მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ელ. ფოსტით, მისამართზე Procurement@Tbcbank.com.ge

ბანკის მიერ შესაძლებელია შეწყდეს ტენდერი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში (მხოლოდ ერთი სატენდერო განაცხადი და ა.შ.), რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე;

II. შესყიდვის საგანი:

- Bitdefender GravityZone Business Security - ანტივირუსის სერვისის 1 წლიანი განახლება (9000 ლიცენზიაზე);

III. ტენდერის ფარგლებში პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- კომპანიის რეკვიზიტები, საქონლის/მომსახურების დეტალური/ტექნიკური აღწერა და განფასება (**სატენდერო დანართი N1**);
- სრულად შევსებული **KYP ფაილი** (ექსელის ფორმატში);
- ხელმოწერილი და დასკანერებული **აფიდავიტის** ფორმა;